ნიანგი

12

გამოცემის 53-ე წელი. (№ 1478). ივნისი. 1976. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაჯი: ამ კაცს უოველდღე გააქვს მასალა და ნამდვილად დაიჭერენ!

მეგობრული შარჟი ბ. ფირცხალავასი

გამოჩენილ ქართველ მწერალს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს — **დემნა შენგელაიას** — დაბადების 80 წლისთავი შეუსრულდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 3 ივნისის ბრძანებულებით საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების მეოთხმოცე წლისთავთან დაკავშირებით **დემნა შენგელაია ხალხთა მეგობრობის ორდენით** დაჯილდოვდა.

დემნა შენგელაიას

გულით რომ არ მოგილოცო, აბა, ისე როგორ გავძლო, —
ჩვენო აკადემიკოსო, ჩვენო პროზის დიდო განძო!
რომანები, მოთხრობები, წერილები სართულებად
აღგვიმართე... და სიღრმენი მიუმატე ქართულ ენას!
შენი „ბათა“ მონავარდე დროის მერანს დაედევნა,
შეახტა და დააქროლებს!.. სულ აქროლოს, დაე, დემნა!
ქცეულია შენი სიტყვა სულის ამნთებ მუდმივ დენად!
გკითხულობენ აღტაცებით და თვალები უდიდდებათ!
გაქვს ჰუმორი უმაღლესი! მისანი ხარ, მართლაც, მისი!
„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“, გვერდით შენი ბათა მიზის!
მწამს: ბედნიერ დარჩენილ წლებს გაატარებ დიდებაში
და მწერალთა ათ ყრილობას (თუ მეტს არა) კიდევ გახსნი!

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს — **შოთა მიქატაძეს** — დაბადების 70 და შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი შეუსრულდა.

შოთა მიქატაძეს

გაუმარჯოს სახელგანთქმულ სკულპტორ შოთა მიქატაძეს! —
გენიალურ პიროვნებებს დიდებულად გვიქანდაკებს!..
სულ სიკეთეს გვიკეთებს და სულ სიყვარულს გვიქადაგებს
და გადმოსდის ბაგეთაგან ტკბილი სიტყვის სიბადაგე!
აქვს ხელოვანს, დიდსულოვანს, ბევრი ნაღდი ქანდაკება!
შენთვის ირბენს დაუღლელად, გიმზრუნველებს, გადაგყვება!
ბურჯობს მონუმენტურ ოჯახს, — საამოა, ჭვრეტა მისი:
ცოლიც მონუმენტალისტი, შვილიც მონუმენტალისტი!
ამას წინათ წარმატებით მოიარა იტალია,
საქართველოს სადღეგრძელო დიდი ყანწით იქ დალია!
მაშულისთვის თავს გადადებს, ქვას გახეთქს და სულს ჩაუდგამს!
იყოს შოთა მიქატაძე სულ ჯანმრთელად, სულ ჩაუქად!

ზაურ გოლეგვაძე

რას გვერჩოდნენ?

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ოცი გოთლი „გურჯაანი“, სალათა, ხიზილალა, ზუთხი, ტაგაკეგი, საცივი, გოჭი, ჩაქაფული, გატკნის მწვადი მოგვიტანე და მეტი არაფერი გვინდა!

მე და ჩემი ამხანაგი ქუჩაში ვდგავართ. ცივა. კედელს ვართ აკრულები. უცებ ხმაური შემოგვესმა. თვალი გავახილეთ და ჩვეულებრივი სურათი დავინახეთ: ქუჩაში ორი მთვრალი ახალგაზრდა მოირწეოდა. ფეხზე ძლივს იდგნენ. მოგვიახლოვდნენ თუ არა, ერთ-ერთმა ერთადერთ მარჯვენა მკლავში ხელი ჩამავლო და მთელი ძალით ჩამომჭაჩა. მომესმა ყრუ ტკაცუნი. ვიგრძენი, რომ ძარღვები ჩამწყდა. მძიმედ ამოვიკვნესე. დავიხედე და... ცარიელ ტყავზე დაკიდებული მარჯვენა მაქსველის ქანქარასავით აქეთ-იქით ქანაობდა. შერე მუშტი ჩამცხო ცხვირ-პირში და ხურდა ფული მომთხოვა. ერთი ორკაპიკიანი მქონდა და ისიც მივეცი. იცოტავა, მწარედ შემაგინა და გამცილდა.

ამასობაში ჩემს ამხანაგს უარესი დღე ადგა: მეორე მთვრალმა მას წიხლები დაუშინა, გვერდები დაუღეწა და გინებით აიკლო. ბოლოს იმასაც მთელი ძალით ჩამოჭაჩა ერთადერთი მარჯვენა, შოგლიჯა და ქვაფენილზე დაანარცხა. ჩემს ამხანაგს განწირული კვნესა აღმოხდა.

გინებითა და ბარბაცით გაგვცილდნენ.

სწორედ ამ დროს მოგვესმა შეძახილი:

— მიშველეთ, ძმა მიკვდება!

დავინახეთ, ერთი პერანგისამარა კაცი ჩვენკენ მორბოდა. ჩანდა, სასწრაფოს გამოძახება უნდოდა სასწრაფოდ. განწირული სახით ჯერ მე მომიახლოვდა, შველა მთხოვა, მაგრამ რა შველა შემეძლო?! მარჯვენა გადამტვრეული და ცხვირ-პირი დალეწილი მქონდა. ჩემს ამხანაგს მივარდა, მაგრამ ელდა ეცა, როცა მისი მარჯვენა იქვე, ქვაფენილზე დაგდებული დაინახა. მწარედ ამოიოხრა, შუბლზე ხელი იტკიცა და შესძახა:

— ღმერთო, რა წყალში ჩავვარდე?! არც ერთი არ მუშაობს! პატრონი არა ჰყავს ამ ტელეფონებს?! სულ ასე დალეწილი უნდა იყოს?!

მურად კერძევაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომბინატორის მონოლოგი

მუქთად ნაშოვო მაყუთო,
გმალო საიდან სანამდე?
უნდა დაგხარჯო, ოხერო,
თორე, იქნება, ჩავვარდე!..

ვაიმე, იქნებ ჩავვარდე,
როგორც ჩავარდნენ ჩემამდე...
და შენ კი, სხვათა სალხენად,
ხელუხლებელი მრჩებოდე,

ქვეყანა მხიარულობდეს,
მე ცხრაკლიტულში ვხმებოდე!
ოდავ, ორსართულიანო,
ნეტავ, არ დაბნელდებოდე!

ღობევ, არ დამეშლებოდე!
„ვოლგავ“ არ წამერთმეოდე!
დედავ, არ დამიდნებოდე!
ცოლო, არ გათხოვდებოდე!..

უფრო არ დაგლახდებოდე,
შვილო, ზანტო და მძინარავ!
ერთ ესეც უნდა ვიკითხო,
ვინ გამიხსენებს, ვინ — არა?

რა ვუყო, არა მშორდება
ეს ფიქრი — გულის მზარავი:
დედის მეტს ჩემი ჩავარდნა
არ აატირებს არავის!..

სხვას ყველას დავავიწყდები,
დედას ვუყვარვარ ძალიან,
მე კი ხან სულაც არ მახსოვს,
დედისთვის არა მცალია!

ნოდარ შამანაძე

ნახ. გ. ფირცხალავასი

— რა ლამაზად გაქვს თვალები! ვინ გაგილურჯა?
— ჩემმა ქმარმა!..

სულ მალე შეხვედრამდე

ძვირფასო მსუბუქი ავტომანქანის მძარცველო! მაპატიეთ, რომ უცნობი გიტოვებთ ამ ბარათს მანქანაში! თუმცა, რა ვიცი, იქნებ, კარგადაც ვიცნობთ ერთმანეთს. გთხოვთ, ვიდრე ამ მანქანას გაიტაცებდეთ და გაძარცვავდეთ, გადაავლოთ თვალი ამ ბარათს! ვიცი, ამ დროს ყოველი წამი ძვირფასი იქნება თქვენთვის, მაგრამ დამდეთ პატივი და მიიღეთ მხედველობაში ჩემი თხოვნა! მოგეხსენებათ, თუ რა სიხარულია მანქანა ადამიანისათვის. ისიც კარგად უწყით, რომ მხოლოდ ხელფასით არც ისე იოლია მისი შეძენა. დღეს მე მანქანის მფლობელი ვარ და ვიქნები მანამ, სანამ თქვენ არ მომპარავთ და არ გამიძარცვავთ მას. მართალია, წინასწარ მიძნელდება იმის თქმა, თუ როდის დადგება ეს საბედისწერო უამი, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ შორს არ უნდა იყოს იგი. ვინც ჩემთან ერთად შეიძინა მანქანა, ყველას მოპარეს და გაუძარცვეს. ზოგმა მიაგნო გაძარცული მანქანის კვალს, ზოგი კიდევ ეძებს და ზოგმა, საერთოდ, ჩაიქნია ხელი. ვატყობ, ჩემი ჯერიც დადგა. მინდა რამდენიმე სიტყვა ჯერ ჩემს მანქანაზე მოგახსენოთ და შემდეგ თხოვნაზე დამიგდოთ ყური:

ჩემმა მანქანამ 10 ათასი კილომეტრი გაიარა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მანქანა საკმაოდ ახალია და მისი ნაწილებიც ,ვასაყიდად ვარგისია.

პირველ რიგში, ალბათ, საბურავებს მოხსნით. დამეთანხმებით, მიუხედავად მცირეოდენი გაცვეთისა, ორმაგ ფასში უსიტყვოდ გაყიდით მათ. ყოველ შემთხვევაში, თუ ვერ გაყიდეთ, მე მომიტანეთ და ფასზე არ გალაპარაკებთ. სხვისი ნახმარი საბურავების ყიდვას, მირჩევნია, ისევ ჩემი ვიყიდო. ასევე წუნი არ დაედება მანქანის ძარას, მოტორს, დინამოსა და სხვა დანარჩენ შიდა ნაწილებს. უკანა ხიდი, არ ვიცი, ღირს თუ არა წვალებად. ეს თქვენი საქმეა, გნებავთ წაიღეთ,გნებავთ დატოვეთ. თუ დატოვებთ, რა თქმა უნდა, მადლობელი დაგრჩებით. სხვა, სალონში რაც მოგეწონებათ, ბუნებრივია, წაიღებთ და მშვიდობიანადაც მოგახმაროთ ღმერთმა! აი, ახლა კი რა მინდა გთხოვოთ: არც ისეთი გაუგებარი იქნებით, რომ არ იცოდეთ, რა ძნელია გატაცებული მანქანის კვალის მიგნება. სწორედ ამიტომ, საქმე ცოტათი მაინც რომ გაგვიადვილოთ, ჩამოწერეთ თქვენს შესახებ ზუსტი ცნობები: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და ადგილი (ზუსტად მიუთითეთ რესპუბლიკა, ოლქი, მხარე, ოკრუგი, ქალაქი, რაიონი, სოფელი), ეროვნება, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, შრომითი საქმიანობა. წარმოადგინეთ დახასიათება სამუშაო ადგილიდან. თუ არ მუშაობთ, იმ ორგანიზაციიდან, სადაც ყალბად ხართ გაფორმებული. ცნობებს თან უნდა დაერთოს 12 ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე. სურათები აუცილებლად დამოწმებული უნდა იყოს, თორემ, ხომ იცით, მილიციაში ყოველგვარ წვრილმანს აქცევენ ყურადღებას! აუცილებლად აღნიშნეთ, რომელ საათებში იქნებით სახლში, რომ წესრიგის დაცვის მუშაკებმა ოპერატიულად იმოქმედონ და მიაგნონ თქვენს კვალს, თორემ, შეიძლება, აფერისტი ეგონოთ და შ,ეშვან თქვენს ძებნას. იმ დღეებში, საერთოდ, ნუ გახვალთ სახლიდან და სალაპარაკოს ნუ მისცემთ ნურავის! მანქანას, ალბათ, საგურამოსკენ გააქროლებთ. ადგილიც შერჩეული გექნებათ. მე მარტო გირჩევთ, მანქანა მცხეთისა და საგურამოს გზის გასაყართან, მარჯვენა მხარეს, შეიყვანოთ ტყეში. გზაც კარგია და ავტოინსპექციის მუშაკებსაც კარგად აუხვევთ თვალს. ჰო, მართლა, კინაღამ გამომრჩა: შეიძლება, სიჩქარისა და დაბნეულობის გამო, საიდუმლო საკეტს უცბად ვერ მიაგნოთ და მანქანა დროულად ვერ დასძრათ ადგილიდან. საიდუმლო საკეტი დამცველების უკან არის. ხელს გაჰყოფთ თუ არა, თითებზე მოგხვდებათ, მარჯვნივ უნდა გადაატკაცუნოთ.

აი, ყველაფერი ის, რაც თქვენთვის მინდოდა მომეხსენებინა. ძალიან გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში ჩემი თხოვნა და გამიწიოთ ანგარიში. სამ ათეულ წელზე მეტია ვმუშაობ სახლმმართველობის სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, სამუდამოდ თქვენი მადლობელი და ვრჩები. კარგად ბრძანდებოდეთ. სულ მალე შეხვედრამდე!

ნომადი ბართაია

ᲣᲧᲠᲛᲘᲚᲘ დიდი ლოდინის შემდეგ აიღეს:

— ბოდიში, ატელიე?

— რა გნებავთ?

— მე თქვენთან ფეხსაცმელი მაქვს შეკეთებული.

— მერე?..

— იქნება, მითხრათ...

— მე რა უნდა გითხრათ, ქალბატონო?!

— როგორ, არ შეიძლება გავიგო?!..

— ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ახლა ზოგი ხელოსანი გასულია... ყველამ თავისი საქმე იცის!

— როგორ თუ გასულია?! მეთხრით თქვენი ატელიეს ნომერი!..

ᲣᲧᲠᲛᲘᲚᲘ ჯერ დამუნჯდა, მერე სროლისმაგვარი ხმა გაისმა და ხუთთო, თქვა ვიღაცამ. მერე ისევ ისროლეს და ხუთთმეტი, გაიმეორა იმავე ხმამ.

— ბოლოს და ბოლოს, ატყვით თუ არა, რა ნომერია თქვენი ატელიე?!

ᲣᲧᲠᲛᲘᲚᲘᲡ რაღაცამ ისევ შეჯახედ გაიტაკაცუნა და ოცდახუთთო, გაისმა. მერე ყველაფერი დადუმდა და ისევ ნაცნობი ხმა მოისმა:

— ეგრე რამ გაგანაწყენათ, ქალბატონო? ჩემმა მხეს, ვერ გამიგია!

— მე მოვითხოვ, მითხრათ თქვენი დირექტორის გვარი და, საერთოდ, რას ბაგავს ეს?!

ᲣᲧᲠᲛᲘᲚᲘᲡ კვლავ მდუმარებამ დაისადგურა, მერე ისევ ისროლეს, მერე ისევ დუმილი ჩამოვარდა...

— თქვი რა რამე, კაცო! შეიხმიახა ვიღაცამ.

იგივე ხმა გაისმა შემკრთალი და შეშუბებული.

— რა უნდა ვთქვა, მკვდარია.

— მოკვდა?! — თითქოს სიხარულით შესძახა ვიღაცამ.

— მოკვდა! — მიუგო დაღონებულმა ხმამ.

— მოკვდა?! — მოკრძალებით კითხე მე.

— ეეჰ, მოკვდა რა! — ისე მობეზრებით გისმა ᲣᲧᲠᲛᲘᲚᲘᲡ. რომ სიტყვა ბაგეზე შემაცივდა.

— ეგრე გეთქვათ, ბატონო! სხვა დროს დავრეკავ!..

ᲣᲧᲠᲛᲘᲚᲘᲡ ცივად დავდე.

Ჯ. ᲯᲐᲨᲘᲐᲠᲘᲫᲔ



— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲗᲗᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲪᲮᲝᲚᲓᲐ!



— ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲘᲠᲝᲜᲐᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲙᲔᲗ ᲓᲐ ᲔᲖ ᲠᲐᲯᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲗᲘᲐᲜᲘᲐ?

— ᲚᲣᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲕᲐᲛᲑᲝᲜᲓᲐᲛᲔ. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲕᲐᲛᲑᲝᲜᲓᲐᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲘᲯᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ



მოგზაურის თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარ-მასპინძელი

ჩვენი ავტობუსი ახალციხეს გასცდა და გეზი ასპინძისაკენ აიღო. მძღოლმა ავტორიტეტულად გამოგვიცხადა:

— სახელურს მაგრად ჩააფრინდით, ძირს არ გადმოცვივდეთ, ან თავი მუშას არ ახალოთ! — მე სტიუარდესა გამახსენდა, თვითმფრინავის აფრენისას და დაჯდომისას მგზავრებს რომ აფრთხილებს, ქამრები შეიკარითო!

ჩაფიქრებული გავყურებდი გზას. „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა...“ მანქანა ძლივს უქცევს გვერდს მანქანას და, ასფალტის ნაცვლად, ვეება ორმოებია...

ეს გზა დიდებული ვარძიისაკენ მიმავალი გზაა, ვარძიას კი ყოველწლიურად 80 ათასამდე საბჭოთა და უცხოელი დამთვალიერებელი ჰყავს. აქაურებს ხშირად უთქვამთ, ჩვენ თუ არ გვიცოდებთ, ის სტუმრები მაინც შეიცოდეთ, ეშმაკის ბილიკით რომ დაატარებთ, ან რა ექსკურსიის ხასიათზე უნდა დადგნენ, ან რა ამბავი უნდა წაიღონ აქაურ გზებზეო!

ასპინძაში გვიან ღამით ჩავედი. დაღლილ-დაქანცულმა სასტუმროს დავუწყე ძებნა.

— გეტყობა, აქ პირველადა ხარ! — ცნობისმოყვარედ ამათვალიერა რომელიღაც ადგილობრივმა. დიახ-მეთქი, ვუთხარი.

— მერედა, აქეთ რომ მოდიოდი არავინ გაგაფრთხილა, ასპინძაში სასტუმრო არ არისო?!

— როგორ თუ არ არის? — ცოტა არ იყოს, შევშინდი მე.

— არ არის და არცა ყოფილა!

მართალია, შუა გაზაფხული იყო, მაგრამ მთებიდან მონაბერი სიო ძვალ-რბილში ატანდა. გათოშილი ვილაც ღვთისნიერმა შემიკედლა, გამათბო, დამაპურა და ზოგი რამ იქაური ამბებიც მიამბო:

— მე რომ მიყურებ, მექანიზატორი ვარ, — გადმომხედა ჩემმა მასპინძელმა, — მაგრამ რა გინდა, რა...

— სამუშაო არა გყოფნით?

— სამუშაო თავზე საყრელია, მაგრამ, აბა, გახედე ამ ციცაბო და ქვალორღიან სახნავ-სათეს მიწებს, რა ტრაქტორი მიუდგება, ან რა გუთანი გაუძლებს? სამთო მექანიზაციის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია, შვილოსან, და იმიტომაცაა, მექანიზატორები მწყემსებად რომ გარბიან მთაში! ახლა იმას აღარ იკითხავ, კოლმეურნეობებს როგორღა ამარაგებენ მარაგნაწილებით?!

მასპინძლის ბუბუნა ბარიტონი უკვე ძილღვიძილში ჩამესმოდა:

— ცუდად, შვილოსან, ძალიან ცუდად გვამარაგებენ! სამათხოვროდა გვაქვს საქმე!..

დილით ვარძიისაკენ აღარ გავემგზავრე, გუნებაგაფუჭებულმა უკან გამობრუნება ვარჩიე...

ოცნება და სინამდვილე

დიდია ბუნების ძალა. ბუნებამ შექმნა ადამიანი. ბუნება კურნავს ადამიანს, ბუნებაში ადამიანისათვის უამრავი საჭირო რამ მოიპოვება. აი, თუნდაც ბორჯომის წყალი! თვით კურორტი ბორჯომიც ხომ ბუნების ნამოღვაწარია? ვინ არ დამტკბარა მისი სიმშვენიერით, ვინ არ განუკურნია ამ იშვიათი თვისებების მქონე ჰაერს. ბორჯომის მინერალური წყალი ხომ საქვეყნოდაა განთქმული. მას იტალიაში ღვინის ჭიქით სვამენ, საფრანგეთში — სუფრის კოვზით, ამერიკაში, როგორც უიშვიათეს პრეპარატს, თვალის საწვეთურით იწვეთებენ ხახაში, აფრიკაში ამ წყლის ორთქლით მკურნალობენ, თბილისში კი... ღვინია ტრფიალნი კიტრის წნილისა და ჯონჯოლის მაგივრად ხმარობენ ნაბახუსევზე. რაც ბორჯომში ბორჯომით შთაგონებულ ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს ნაწარმოებები შეუქმნიათ, იმაში აღებული ჰონორარით ხუთი ბორჯომისნაირი კურორტი აშენდებოდა..

ოცნებაში გართულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ შეჩერდა ჩვენი ავტობუსი ბორჯომის ცენტრში. პირველ რიგში სასტუმროს მივაშურე და დავბინავდი. ფანჯრიდან ქალაქის ახალი მშენებლობები მოჩანდა.

— შენდება და მშვენდება ბორჯომი! ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი აღტაცება და ფანჯარასთან მდგარ სკამზე დავეშვი. სკამმა ერთი საცოდავად დაიჭრიალა, ფეხები მოეღრიცა და იატაკზე მოვადინე ბრაგვანი. არაფერია იმაზე საშინელი, როცა ოცნების ღრუბლებიდან პირდაპირ სასტუმროს პარკეტზე დაენარცხები! ეჰ, ავეჯს რა ვუთხარი, სასტუმროს აშენების დღიდან რომ დგას აქ! კარები გამოვიკეტე და რესტორნისაკენ გავეშურე. დიდებულია სასტუმროს შენობა, მაგრამ ყველაფერს მისი მოდიდან გამოსული, დრომოჭმული და უგემოვნოდ შესრულებული ინტერიერი აფუჭებს.

რესტორანში სიცარიელე იყო. მაგიდას მივუჯექი და ოფიციანტს დავუწყე ლოდინი. მოთმინების ფიალა რომ ამევსო, თვითონ ვეწვიე სამზარეულოს. ერთი შეხედვით მას ვერაფერს დაუწუნებდით, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა მოძველებულ დანადგარებსა და იქ გამეფებულ ანტისანიტარიას. გუნება სულმთლად გამიფუჭდა. ბორჯომის სასტუმრო დაუყოვნებლივ დავტოვე და ბაკურიანში გავემგზავრე.

პატარა შვეიცარია

— „გეტეოს“ ნორმატივები ჩაბარებული გაქვთ? — ისე, სხვათაშორის, შეგვეკითხა ავტობუსის მძღოლი. ჩვენ დასტური მივეცით. მხოლოდ ამის შემდეგ დაძრა მან მშვიდად მანქანა ადგილიდან. ბაკურიანში რომ ჩავედით და დაჟეჟილ-დაბეგვილები ავტობუსიდან გადმოვედით, მაშინ მივხვდი ამ შეკითხვის მიზეზს, მაგრამ სახიფათო და კეთილმოუწყობელი გზა, თავბრუდამხვევი მოსახვევებით, უკვე გავლილი იყო. გზას ფეხით გავუყევი. უცებ ნაგვის მანქანამ ჩამიქროლა დიდი სისწრაფით და ისეთ „სურნელში“ გამხვია, ცხვირის ნესტოები ცერისა და საჩვენებელი თითის მარწუხებში მოვაქციე.

— სად ეჩქარება ამ მამაცხონებულს? — გამოვხატე ჩემი აღშფოთება.

— ცხრაწყაროს ნაგვის „სვალკაზე“! — გამიმარტა იქაურმა მკვიდრმა. ამასობაში მზემაც გამოანათა და, ცოტა არ იყოს, ჩამოცხა.

— წყალს ხომ არ დამალევინებდით, უზმოზე ხახა გამიშრა! — მივმართე ისევ იქაურ მკვიდრს. იგი საკუთარ ეზოში შევიდა, ხელცარიელი დაბრუნდა და ბოდიში მომიხადა, გუშინს აქეთ წყალი არ მოდის, დაგროვებული რაც მქონდა, ბავშვებს დაულევიათო.

— როგორ?! ბაკურიანს წყალი არა აქვს?! — ცოტა არ იყოს მეუცხოვა ბაკურიანის უწყლობა.

— კაცმა რომ თქვას, სულ მთლად ეგრე არ არის საქმე! — ამიხსნა მან. — ბევრი იშრომეს მშენებლებმა და, ბოლოს, როგორც იქნა, აგვიშენეს ჩინებული საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის ქსელი, მაგრამ საქმე ბოლომდე აღარ მიიყვანეს, ამიტომაა ხანდახან უწყლოდ რომ ვართ ხოლმე!

ხახაგამშრალმა განვაგრძე გზა. არ ვიცი, საიდან გაიგეს, ნიანგელი რომ ვიყავი, მომჩივანთა რკალში აღმოვჩნდი. დამეხვიენ ნორჩები თუ მოხუცები: ეს პროფკავშირების მუშაკთა ახალაშენებული პიონერთა ბანაკი მოუხერხებელია დასვენებისათვის და პიონერული თამაშებისათვისო, ეს 1973 წელს დასამთავრებელი გეოლოგიური სამმართველოს პიონერთა ბანაკი დღესაც დაუმთავრებელი და კეთილმოუწყობელიაო, ჩიოდნენ ისინი. მერე ტურისტებმა „ჩამიგდეს ხელში“ და სულ „ჩტო ზა ბეზაბრაზიე, ეტო ჩტო ზა ნებლაგოუსტროენნაია“-ო, იძახეს ტურბაზაზე. ახლა ბაკურიანის საავადმყოფოს ხელმძღვანელებმა მტაცეს ხელი: სამი ექიმის, მათ შორის ერთი ქირურგის, შტატი რომ ამდენ ხანს თავისუფალი გვაქვს და დედაქალაქელებს ყელგამოწვდილი ვევედრებით, ექიმებს როდის გამოგზავნიანო. მერე ბაკურიანელი ახალგაზრდები მეცნენ, კულტურის სახლს როდის აგვიშენებენ, მაინცადამაინც გინდათ, ბარ-რესტორან-სახინკლე-სამწვადეების მსხვერპლი გავხდეთო?!

ამბობენ, 1980 წელს ვერც ბორჯომს იცნობთ და ვერც ბაკურიანს, ისე აშენდებიან და დამშვენდებიანო!

ნეტამც!

თამაზ ქიტესაშვილი

ნახ. ა. კანდელაკისა

— მგონია, დაგვაგვიანდა ქორწილში!
— ნუ გეშინია, დღეს მესამე დღეა!

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ეს მუმია პროფესიით მძღოლი ყოფილა!
— როგორ მიხვდნენ? ალბათ, ჯიქაში ჩაართქლეგინეს..

452
28.VI 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობუსში

„მალე ამოდით კარებში!“ —
აზრი ამგვარად მოხაზე! —
„არ გავაჩერებ, იცოდეთ,
მეორე ასტანოვკაზე!“

ახლა ჩამოდით, თუ ჩახვალთ,
არ ამიტეხოთ ომია!
არ გავაჩერებ გითხარით,
იქით რო „პადიომია!“

ვიცით, მძღოლი ხარ, ბატონო,
მუშა კაცი ხარ, ალალი,
დღეს შენი ვალი ხომ მარტო
საჭის ტრიალი არ არი?!

მიკროფონი რომ გიჭირავს,
უნდა დაფიქრდე, ბიძია,
თუკი ქართული არ იცი,
სიტყვის თქმა არ შეგიძლია, —

თავი ანებე მიკროფონს,
აღარ იქნები პირშავად!
ან ხალხმა ,ანდა ქართულმა,
მითხარი, რა დაგიშავა?!

შოთა ხოდაშენელი

ნახ. მ. აბაშიძისა

— რისთვისღა დადიხარ სკოლაში?
— სახლში არ მაჩერებ და, აბა, რა ვქნა?!

ნახ. ზ. ფოლრჩხიძისა

— რაც კი მთხოვე, აგისრულე და თუ ამ სიგინძურეში დამახრჩობ, ყველაფერს დაკარგავ!

ნახ. ე. დეისაძისა



უსიტყვოდ

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ადლეიფილი, ბ. კუტია, ბ. ლომაძე, ზ. მამულაშვილი, ბ. ფანცულაია, ლ. ყიფიანი, ცხალავა, ი. ყიფიანი, ბ. ბურნაძე, ლ. ბურნაძე, ფარიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. აცისკვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიფანაძე, ბ. სიხარულიძე (პ/მბ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ი. ჯელიძე. ⊙ სარედაქციოს მისამართი: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი ბ. კუსლავაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის ეკონომიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. საელექტროსაბეჭდავი-საბაჭოთა-საბეჭდავლო თიბაში 1.7 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ტპაბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1899. ᲣᲔ 00809 ტირ. 138.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 98-19-42, 98-10-78, 98-49-82. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ბერაბაშვილი

ვცხოვრობთ თბილისში, სამტრედიის ქ. № 13-ში. ორასბინიან სახლში, გვიკავია ბინა № 69. წვიმის დროს ჩვენი სახლის სახურავიდან ჩამოდის წყალი მერვე სართულზე, აქედან კი — ჩვენთან, მეშვიდეზე, ვცდილობთ, რომ წყალმა არ ჩააღწიოს მეექვსე სართულზე და ასე „ვერთობით“ წვიმიან დღეებში. კარგ ამინდში წყალწყალა მელნით საჩივრებს ვწერთ და აქა-იქ ვგზავნით, წვიმა კი მაინც მოდის.

პატივცემულო ნიანგო! იქნებ, გვიშველო რაძე, სანამ გულიც გაგვიწყალდება!..

* * *

ახალქალაქის რაიონის **სოფელ ბარალეთში** ყველას გვაქვს ტელევიზორი, ელექტროენერგია, ანტენებიც ენერგიულად გვაქვს მომარჯვებული თბილისისკენ, მაგრამ რად გვინდა? გამოსახულებას მაინც ვერ ვხედავთ...

ჩვენ კი, **ახალციხის რაიონის სოფ. აწყურში,** უფრო კარგად ვღებულობთ ტელეგადაცემებს მოსკოვიდან, ვიდრე თბილისიდან.

* * *

ბოლნისის რაიონის **წითელსოფლის** მოსახლეობა მოწყვეტილი ვართ რაიონულ ცენტრს. ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია. ამის გამო ავტობუსი არ დადის.

სამ სოფელს ერთი საექიმო პუნქტი გვაქვს და ისიც იატაკაყრილია, კიბეზე ფეხს მოიტეხ. მოიტეხ და ექთანი შიშით შენობაში ვერ შემოვა, არ დაინგრესო. ჯანმრთელობის განყოფილება კი ამას ჯანსაღი თვალით არ უყურებს.

ამბროლაურის რაიონის **სოფელ ჭყვიშის კინომოყვარულები** კლუბის აშენებას რაჭელი მოთმინებით ველოდით, როგორც იქნა აშენდა. ახლა კინომექანიკოსი არ ჩანს, შვიდი წელია, კინო არ გვინახავს! ალბათ, ვისაც ეს ეხება, იმით თუ იმშვიდებენ გულს, რომ ტელევიზორს უყურებენ.

* * *

თბილისში, შაუმიანის ქ. № 53-ში, წყალი ძვირი ხილია. ათასში ერთხელ წამოწანწკარდება და მერე ისევ დაგვეკარგება. ხანდახან ისეთ დროს მოვა, სულ რომ არ ველით. გეძინავს და ვეფხზლობთ. ერთი თხოვნა გვაქვს: იქნებ, ონკანებს მაღვიძარები დაუყენონ!

გეგეჭკორის რაიონში, **ენგელსის ქუჩაზე** კი ახკარა წყაროს წყალი უპატრონოდ იღვრება: წყალსადენის მილები დაზიანებულია.

* * *

სამტრედიის რაიონის **სოფელ ნაფალაურში** ელექტროგაყვანილობაც გვაქვს, ნათურებიც, ჩამრთველებიც, გამომრთველებიც. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ელექტროენერგიაც, მაგრამ ენერგია არ ყოფნის, რომ ნორმალურად გაანათოს ოთახი. სანთლებითა და ლამპებით ძაბვას ვზრდით. ამასაც მოხერხება უნდა, — ხომ გაგიგონიათ, გაჭირვება მაჩვენე და... სანთელსა და ლამპას ვიშოვიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლსბერიში შედგა ოთხი აფრიკელი მინისტრის დანიშვნის საზეიმო ცერემონიალი. როდეზიის მთავრობის შემადგენლობაში, ე. წ. ტომთა ბელადების საბჭოდან, შეიყვანეს მარიონეტები, რომელნიც ცნობილნი არიან თავიანთი ლოიალობით რასისტული რეჟიმისადმი. ეს ხალხი ერთგულად ემსახურება კოლონიზატორებს და, რაღა თქმა უნდა, დიდ გასამრჯელოსაც იღებს.

აი, ამ რეტროგრადებისა და მლიქვნელების გასაღებას ცდილობს იან სმიტის ხროვა აფრიკელი ხალხის „პასუხისმგებელ წარმომადგენლებად“.

ᲨᲐᲕᲘ ᲢᲘᲙᲘᲜᲔᲑᲘ

ნახ. Გ. ᲚᲝᲛᲘᲫᲘᲡᲐ